

საქართველოს
დაპროზიხების დაზღვევის საბუნბო



DEPOSIT INSURANCE AGENCY
OF GEORGIA

2019 წლის საინვესტიციო გეგმა

დეკემბერი, 2018 წელი

სარჩევი

ინვესტირების პრინციპები 3

სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბაზრის ძირითადი მონაცემები 4

 სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისია 4

 სახაზინო ფასიანი ქაღალდების განაკვეთები 6

ინვესტირება 9

 ინვესტირების მოცულობა 9

 ინვესტირების სტრუქტურა..... 10

საპროგნოზო გათვლები 11

საინვესტიციო პოლიტიკის გამჭვირვალობა 11

1. ინვესტირების პრინციპები

საინვესტიციო გეგმა ემყარება დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტს. ინვესტირება უნდა განხორციელდეს უსაფრთხოების, ლიკვიდობის, დივერსიფიცირების და შემოსავლიანობის პრინციპების დაცვით.

უსაფრთხოება - ინვესტიცია მიიჩნევა უსაფრთხოდ, თუ შემენილი ფასიანი ქაღალდების გაუფასურების რისკი ფინანსური ან საბანკო ტურბულენტურობის დროს მინიმუმამდეა დაყვანილი. სააგენტოს მიერ ასეთ უსაფრთხო აქტივებად განიხილება სახაზინო ფასიანი ქაღალდები და საქართველოს ეროვნული ბანკში განთავსებული სადღეღამისო დეპოზიტები.

ლიკვიდობა - ინვესტიცია მიიჩნევა ლიკვიდურად, თუ ფასიანი ქაღალდების ფულად გარდაქმნა შესაძლებელია მაქსიმალურად მოკლე ვადაში, მინიმალური დანაკარგებით ფინანსური ან საბანკო ტურბულენტურობის დროს.

დივერსიფიცირება - ლიკვიდობის გაძლიერების კუთხით ინვესტირება განხორციელდება დივერსიფიცირებულად, სხვადასხვა ვადიანობის ფასიან ქაღალდებში და დეპოზიტების განთავსებით საქართველოს ეროვნულ ბანკში. საწყის ეტაპზე ინვესტირება განხორციელდება მხოლოდ ადგილობრივ ფასიან ქაღალდებში, თუმცა მომდევნო წლებში, აქტივების ზრდასთან ერთად, გადაიხედება მიდგომა და ადგილობრივებთან ერთად შესაძლებელია მოხდეს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ გამოშვებულ ლარში დენომინირებულ ფასიან ქაღალდებში და ასევე საერთაშორისო აქტივებში განთავსება.

შემოსავლიანობა - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიზანს არ წარმოადგენს შემოსავლების მაქსიმიზაცია, ვინაიდან სააგენტოს მთავარი მიზანია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დეპოზიტორების დროული და ეფექტიანი ანაზღაურება, რისთვისაც მნიშვნელოვანია ლიკვიდობის უზრუნველყოფა. ამ კუთხით სააგენტოს მიზანია არსებული ინსტრუმენტების გამოყენებით მოხდეს ზომიერი შემოსავლიანობის მიღწევა ისე, რომ პორტფელის მომგებიანობა იყოს ინფლაციის მაჩვენებელზე მაღალი.

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს საინვესტიციო პოლიტიკა და გეგმა ეფუძნება „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საინვესტიციო პოლიტიკის ზოგად პრინციპს, ევროკავშირის 2014/49/EU დირექტივას (Deposit Guarantee Schemes) და დეპოზიტების დაზღვევის საერთაშორისო ასოციაციის (IADI) ძირითად პრინციპებს.

აღსანიშნავია, რომ 5,000 ლარის ოდენობის სადაზღვევო ლიმიტის არსებობისას, სააგენტოს სავალუტო რისკი არ არის მნიშვნელოვანი, რადგან 5,000 ლარამდე დაზღვეული დეპოზიტების მხოლოდ 9% არის უცხოურ ვალუტაში, ხოლო დეპოზიტორების ანაზღაურება ხდება ეროვნულ ვალუტაში. შესაბამისად, უცხოურ ვალუტაში ზღვარს ზევით არსებული დეპოზიტები გავლენას ვერ მოახდენს ფონდის ვალდებულებებზე. ამრიგად, სავალუტო რისკის დაბალანსების საჭიროება

ამ ეტაპზე არ დგას და მიზანშეწონილია ინვესტირება მოხდეს ლარით დენომინირებულ ინსტრუმენტებში.


2. სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბაზრის ძირითადი მონაცემები

2.1. სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისია

2018 წლის 30 ნოემბრისათვის მიმოქცევაში არსებულმა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ჯამურმა მოცულობამ 2 743 მლნ ლარი შედგენა (გრაფიკი #1).

ემისიების ვადიანობის მიხედვით სტრუქტურა შემდეგია:

გრაფიკი 1: ფასიანი ქაღალდების მოცულობა, ნოემბერი 2018



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


პირველად ბაზარზე სხვადასხვა ვადიანობის (10 წლიანის გარდა) სახაზინო ქაღალდების ემისიები ხორციელდება ყოველთვიურად მეტნაკლებად თანაბარი მოცულობით. ეს ხელს უწყობს სტაბილური ბაზრის ჩამოყალიბებას მკვეთრი მერყეობების გარეშე. განსხვავებული ვითარებაა 10 წლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებით, რომლის ემისიაც კვარტალში ერთხელ ხდება და სხვა ვადიანობებთან შედარებით ხასიათდება განაკვეთების მეტი მერყეობით. ამან შესაძლოა მთლიანი პორტფელის ღირებულებაზე მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა იქონიოს.

სხვადასხვა ვადიანობის სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისიის ყოველთვიური და ჯამური მოცულობა შემდეგნაირია:

სახაზინო ფასიანი ქაღალდის ვადიანობა	ყოველთვიური ემისიის მოცულობა, ლარი	ჯამური ემისია ¹
6 თვე	20 000 000	-
1 წელი	40 000 000	-
2 წელი	40 000 000	240 000 000
5 წელი	30 000 000	240 000 000
10 წელი	25 000 000	-

საქართველოში მეორადი ბაზარი ნაკლებად განვითარებულია, აქტივობა ძალიან მცირეა (გრაფიკი #2). სახაზინო ფასიანი ქაღალდების მფლობელები ძირითადად კომერციული ბანკებია, რომლებიც ინახავენ ქაღალდებს დაფარვის ვადის დადგომამდე და შედარებით აქტიურად იყენებენ მათ რეპო ოპერაციებში ვიდრე მეორად ბაზარზე ვაჭრობისთვის. აღსანიშნავია ისიც, რომ მეორად ბაზარზე არ ხდება ვაჭრობა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ობლიგაციებით.²

გრაფიკი #2: სახაზინო ვალდებულებების, ობლიგაციების ვაჭრობის მოცულობა პირველად და მეორად ბაზარზე, 2016-2018



¹ 2018 წლიდან ფინანსთა სამინისტრომ მაღალი ლიკვიდობის მქონე ფასიანი ქაღალდების (2, 5 და 10 წლის ვადიანობის ე.წ „ბენჩმარკ ბონდები“) რეგულარული ემისია დაიწყო, რაც წარმოადგენს გამსხვილებულ ემისიებს წინასწარ ცნობილი პერიოდულობით და თანაბარი მოცულობებით (ერთიანი დაფარვით). აღნიშნული ფასიანი ქაღალდების კუპონი პირველადი ემისიის დროს ყალიბდება, ხოლო შემოსავლიანობის განაკვეთი დაფარვის თარიღამდე დამატებითი ემისიების დროს ცვალებადია. თითოეული ბენჩმარკ ბონდის მოცულობა განსაზღვრულია დაახლოებით 240 მლნ ლარით.

² საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის მიერ გამოშვებული ერთი ობლიგაციის ნომინალური ღირებულება მინიმუმ 500,000 ლარია, რის გამოც აღნიშნული ფასიანი ქაღალდი მეორადი ბაზრისთვის ნაკლებად მიმზიდველი და მოთხოვნადია.


მეორადი ბაზრის განვითარებას ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებულმა „ბენჩმარკ ბონდებმა“ უნდა შეუწყოს ხელი. აღნიშნული „ბენჩმარკ ბონდების“ მთავარი მახასიათებელია მაღალი ლიკვიდობა და წინასწარ პროგნოზირებადობა. სამომავლოდ იგეგმება პირველადი დილერების ინსტიტუტის ამუშავება, რაც ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პირველად აუქციონზე მონაწილე კომერციულ ბანკებს ექნებათ ვალდებულება ხელი შეუწყონ მეორადი ბაზრის ლიკვიდობას ბაზრის ყველა მონაწილისათვის. შესაბამისად, ამ ტიპის ფასიანი ქაღალდები გაზრდის ქაღალდების ლიკვიდობას და გახდის მათ უფრო მიმზიდველს მეორადი ბაზრისათვის, რაც დეპოზიტების დაზღვევის ფონდისათვის მეტად მნიშვნელოვანია.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივ ბაზარზე რიგი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების (EBRD, BSTDB, FMO) მიერ გამოშვებულია ლარში დენომინირებული ფასიანი ქაღალდები 565 მლნ ლარის მოცულობით. ეს ფასიანი ქაღალდები წარმოადგენენ 3-დან 5 წლამდე ვადის კუპონურ ობლიგაციებს, კუპონის განაკვეთი ძირითადად მიბმულია ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატების განაკვეთებზე. გამოშვებები ხორციელდებოდა მხოლოდ საჯარო შეთავაზებით, ფასიანი ქაღალდების მფლობელები კომერციული ბანკები არიან. შესაბამისად, ამ ეტაპზე ფასიანი ქაღალდების ეს ტიპი არ წარმოადგენს სააგენტოსთვის ინტერესის სფეროს, რადგან მათზე შეზღუდულია წვდომა და იგივე ვადიანობის სახაზინო ქაღალდების შემოსავლიანობა მნიშვნელოვნად მეტია.

2.2 სახაზინო ფასიანი ქაღალდების განაკვეთები

ბოლო სამი წლის განმავლობაში სახაზინო ობლიგაციების და ვალდებულებების აუქციონებზე დაფიქსირებული განაკვეთები შემდეგი დინამიკით გამოირჩეოდა (გრაფიკი #3):

გრაფიკი #3: სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთები, 2016-2018




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მოცემული გრაფიკიდან ჩანს, რომ 10 წლის ვადიანობის ქალაქებს მეტი შემოსავლიანობა აქვთ, მაგრამ ბაზარზე მცირე მოთხოვნის, მოცულობისა და შესაბამისად, ნაკლები ლიკვიდობის პრობლემების გათვალისწინებით, ვერ იქნება ინვესტირების საშუალება სააგენტოსთვის.

2018 წლის განმავლობაში ხდებოდა საპროცენტო განაკვეთების დაახლოება (გრაფიკი #4). სხვადასხვა ვადიანობის სახაზინო ფასიანი ქალაქები საშუალებას იძლევა არჩევანი გაკეთდეს პოტენციურად უფრო მაღალი ლიკვიდობის მქონე ქალაქების სასარგებლოდ ისე, რომ არ მოხდეს შემოსავლიანობის მნიშვნელოვანი დანაკარგი.

გრაფიკი #4: სახაზინო ფასიანი ქალაქების მომგებიანობის განაკვეთები, 2018



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2018 წლის განმავლობაში, 2 და 5 წლიანი სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთებს შორის სპრედი თვიდან თვემდე მცირდებოდა (გრაფიკი #5), რაც 5 წლიან სახაზინო ქალაქებს შედარებით ნაკლებად მიმზიდველს ხდის. შესაბამისად, ლიკვიდობის პრინციპიდან და შემოსავლიანობიდან გამომდინარე, 2018 წლის მეორე ნახევრიდან, სააგენტოსთვის 2 წლიან ობლიგაციებში ინვესტირება მეტად მიზანშეწონილი გახდა.

თვე	5 წლის ვადიანობის ობლიგაციები	2 წლის ვადიანობის ობლიგაციები	სპრედი
იანვარი	8,119	7,663	0,456
თებერვალი	7,963	7,573	0,390
მარტი	7,814	7,474	0,340
აპრილი	7,720	7,421	0,299
მაისი	7,716	7,395	0,321
ივნისი	7,748	7,451	0,297
ივლისი	7,690	7,465	0,225
აგვისტო	7,477	7,265	0,212
სექტემბერი	7,431	7,232	0,199
ოქტომბერი	7,404	7,217	0,187
ნოემბერი	7,426	7,214	0,212

აღსანიშნავია, რომ 2010 წლის აპრილიდან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ამოქმედებული ერთდღიანი დეპოზიტების ინსტრუმენტით, კომერციულ ბანკებს შეუძლიათ საკორესპონდენტო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში არსებული ჭარბი ლიკვიდობა დღის ბოლოს საქართველოს ეროვნულ ბანკში ერთდღიან დეპოზიტზე განათავსონ, რომელიც შემდგომი სამუშაო დღის დასაწყისშივე საკორესპონდენტო ანგარიშზე უბრუნდებათ. აღნიშნული ინსტრუმენტი ბანკთაშორის ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების სტაბილიზაციის მნიშვნელოვანი ბერკეტია. ერთდღიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი მიზნულია რეფინანსირების განაკვეთთან. კერძოდ, 2017 წლის პირველ ნახევარში ერთდღიან სესხებსა და ერთდღიან დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთის დერეფანი შეადგენდა 3 პროცენტულ პუნქტს – მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს პლუს/მინუს 1.5 პროცენტული პუნქტი. საპროცენტო განაკვეთების მოკლევადიანი მერყეობის კიდევ უფრო შემცირების მიზნით, 2017 წლის აგვისტოდან საპროცენტო განაკვეთის დერეფანი შემცირდა 2 პროცენტულ პუნქტამდე – მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს პლუს/მინუს 1.0 პროცენტული პუნქტი. რაც იმას ნიშნავს, რომ სააგენტოს მიერ საქართველოს ეროვნულ ბანკში განთავსებულ სადღეღამისო დეპოზიტზე სარგებელი რეფინანსირების განაკვეთს გამოკლებული 1.0 პროცენტული პუნქტი იქნება.

სააგენტოსთვის არსებული ინსტრუმენტის გამოყენება მნიშვნელოვანია, ვინაიდან აუქციონში მონაწილეობის მიღებამდე, გარკვეული დროის მონაკვეთში ფონდში აკუმულირდება დიდი მოცულობის თავისუფალი სახსრები, განსაკუთრებით მაშინ როდესაც აუქციონზე სააგენტოს განაცხადის დაკმაყოფილება არ ხდება. შესაბამისად, აღნიშნული სახსრების განთავსებით სააგენტოს საპროცენტო შემოსავალი გაიზრდება. აღსანიშნავია, რომ 2018 წლის განმავლობაში სააგენტო ამ შესაძლებლობით ვერ სარგებლობდა საკანონმდებლო შეზღუდვის გამო. ამ ეტაპზე მომზადებულია საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომლის დამტკიცების შემდეგ - 2019 წლიდან, აღნიშნული სერვისი ხელმისაწვდომი იქნება.

3. ინვესტირება

3.1 ინვესტირების მოცულობა

2017 წლის დეკემბრიდან 2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით დეპოზიტების დაზღვევის ფონდში ბანკების მიერ პირველადი და რეგულარული სადაზღვევო შენატანის სახით აკუმულირდა 15,443,673 მლნ ლარი³, ხოლო სახაზინო ფასიან ქაღალდებში განხორციელდა 14,538,770 მლნ ლარის მოცულობის ინვესტიცია. კუპონის სახით რეალიზებულმა შემოსავალმა 2018 წლის განმავლობაში შეადგინა 349,390 ლარი. 2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით სააგენტომ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების აუქციონზე 24 განაცხადი განათავსა, საიდანაც 18 განაცხადი დაკმაყოფილდა. არსებული საინვესტიციო პორტფელის წლიური საშუალო შემოსავლის განაკვეთი 7,49%-ია.

აუქციონის თარიღი	ნომინალური ღირებულება, ლარი	შესყიდვის ფასი, ლარი	ვადაიანობა	სარგებლის პროცენტი	კუპონი (%)	დაფარვის თარიღი
27.12.2017	1 450 000,00	1 507 501,04	5 წელი	7,650	8,000	31.08.2022
24.01.2018	20 000,00	20 004,85	5 წელი	8,119	8,125	25.01.2023
21.02.2018	1 160 000,00	1 175 308,72	5 წელი	7,950	8,125	25.01.2023
21.03.2018	1 130 000,00	1 158 601,51	5 წელი	7,800	8,125	25.01.2023
25.04.2018	1 190 000,00	1 233 878,40	5 წელი	7,700	8,125	25.01.2023
27.06.2018	2 245 000,00	2 356 868,56	5 წელი	7,720	8,125	25.01.2023
08.08.2018	1 430 000,00	1 445 112,09	2 წელი	7,220	7,500	12.07.2020
22.08.2018	20 000,00	20 606,46	5 წელი	7,477	8,125	25.01.2023
12.09.2018	20 000,00	20 344,10	2 წელი	7,232	7,500	12.07.2020
12.09.2018	600 000,00	610 444,82	2 წელი	7,220	7,500	12.07.2020
10.10.2018	20 000,00	20 459,25	2 წელი	7,217	7,500	12.07.2020
10.10.2018	910 000,00	930 851,26	2 წელი	7,220	7,500	12.07.2020
10.10.2018	920 000,00	941 379,68	2 წელი	7,200	7,500	12.07.2020
13.11.2018	20 000,00	20 598,59	2 წელი	7,214	7,500	12.07.2020
13.11.2018	750 000,00	772 609,33	2 წელი	7,200	7,500	12.07.2020
13.11.2018	1 000 000,00	1 030 300,12	2 წელი	7,190	7,500	12.07.2020
12.12.2018	20 000,00	20 698,47	2 წელი	7,253	7,500	12.07.2020
12.12.2018	1 210 000,00	1 253 202,95	2 წელი	7,200	7,500	12.07.2020
	ჯამი	14 538 770				

2019 წელს საბანკო სისტემაში დაზღვევას დაქვემდებარებული დეპოზიტების საპროგნოზო მოცულობების გათვალისწინებით, ყოველთვიური რეგულარული სადაზღვევო შენატანები დაახლოებით 1 350 000 ლარის ფარგლებში იქნება. სააგენტო მოახდენს შემოსული თანხების მთლიანად ინვესტირებას, სააგენტოს დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული მიმდინარე საქმიანობისათვის საჭირო სახსრების გამოკლებით.

ფასიან ქაღალდებში და სადღეღამისო დეპოზიტზე განთავსებული სახსრებიდან პროცენტის ან კუპონის სახით მიღებული შემოსავალი ექვემდებარება რეინვესტირებას, იგივე პრინციპით.

³ რეგულარული სადაზღვევო შენატანების მხრივ ფონდში 2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით ჩარიცხვა განხორციელდა 11-ჯერ.

3.2 ინვესტირების სტრუქტურა

ინვესტირებისათვის ფასიანი ქაღალდების ტიპი და ვადიანობა შეირჩევა ინვესტირების პრინციპების დაცვით. რეგულარული სადაზღვევო შენატანების, კუპონის და სადღეღამისო დეპოზიტის სარგებლის სახით ფონდში აკუმულირებულ სახსრებს, სააგენტო სახაზინო ფასიან ქაღალდებში და ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის სადღეღამისო დეპოზიტზე განათავსებს.

სადღეღამისო დეპოზიტებზე განთავსების გარდა, ასევე მნიშვნელოვანია სააგენტოს ჰქონდეს კომერციულ ბანკთან რეპო ოპერაციის განხორციელების შესაძლებლობა. ხშირ შემთხვევაში სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონი დეპოზიტების დაზღვევის ფონდში კომერციული ბანკების მიერ გადასახდელი ყოველთვიური რეგულარული სადაზღვევო შენატანების ჩარიცხვამდე იმართება, რაც სააგენტოს უზღუდავს გარანტირებულად მისაღები შემოსავლის სრულად ინვესტირების შესაძლებლობას. ასეთი შემთხვევებისთვის სააგენტოს უნდა შეეძლოს კომერციული ბანკისგან ფასიანი ქაღალდების უზრუნველყოფით მოკლევადიანი სესხის აღება - რეპო ოპერაციის ჩატარება. აღსანიშნავია, რომ დღეს არსებული ვითარებით, ფონდის ის სახსრები, რომელთა ინვესტირება ვერ ხერხდება, განთავსებულია სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე და არ ერიცხება სარგებელი. ამდენად, რეპო ოპერაციების ჩატარების შესაძლებლობა უფრო მოქნილს გახდის დაზღვევის ფონდში არსებული სახსრების ინვესტირების პროცესს და გაზრდის პოტენციურ მოგებას.

სააგენტოსთვის პრიორიტეტულია ფასიანი ქაღალდების პირველად ბაზრის აუქციონებში მონაწილეობა, ვინაიდან მეორად ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთები ნაკლებად მიმზიდველია. სახსრების მიღებისა და ინვესტირების უწყვეტი ციკლის შესანარჩუნებლად სააგენტო თავისუფალ სახსრებს ყოველდღიურად განათავსებს საქართველოს ეროვნული ბანკის სადღეღამისო დეპოზიტებზე.

ადგილობრივი ფასიანი ქაღალდების ბაზრის ანალიზის შედეგად მიზანშეწონილად მიგვაჩნია 2 ან 5 წლის სახაზინო ობლიგაციებში ინვესტირება, რაც, ამავდროულად, სრულად შეესაბამება ზემოთხსენებულ პრინციპებს. ასევე თავისუფალი სახსრები პერიოდულად საქართველოს ეროვნული ბანკის სადღეღამისო დეპოზიტზე განთავსება. სახაზინო ფასიან ქაღალდებში განხორციელებული ინვესტიციების პროპორცია დამოკიდებული იქნება ბაზარზე არსებულ მდგომარეობაზე. კერძოდ, გათვალისწინებული იქნება 2 და 5 წლის ვადიანობის ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთებს შორის სპრედის ცვლილება და ბაზრის მოსალოდნელი ტენდენციები. თუ, აღნიშნული ფასიანი ქაღალდების მომგებიანობის განაკვეთებს შორის სხვაობა მინიმალური იქნება, სააგენტოსთვის მიმზიდველად ჩაითვლება ნაკლებადიანი ფასიანი ქაღალდი რომლის ლიკვიდობა უფრო მაღალია. ასევე აღსანიშნავია, რომ ფინანსური ბაზრის ანალიზი იძლევა 6-12 თვის ვადაში მაღალი სანდოობის პროგნოზირების შესაძლებლობას, ამდენად აღნიშნული ვადიანობის ვალდებულებებში ინვესტირება საჭიროებას არ წარმოადგენს.

4. საპროგნოზო გათვლები

2019 წლის განმავლობაში ბანკებიდან რეგულარული სადაზღვევო შენატანების მთლიანი მოცულობა დაახლოებით 16,000,000 ლარი იქნება.

ბენჩმარკ ბონდები:

ვადიანობა	აღწერა	შემოსავლიანობა
2 წელი	ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები	7.0 - 7.35 %
5 წელი	ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები	7.3 - 7.75 %

წინასწარი გათვლებით საინვესტიციო პორტფელის წლიური შემოსავლიანობა სავარაუდოდ 7.3 - 7.5 პროცენტი იქნება. 2019 წლის განმავლობაში სააგენტო განხორციელებული ინვესტიციებიდან და ეროვნულ ბანკში განთავსებული დეპოზიტიდან სარგებლის სახლით მიიღებს დაახლოებით 1,300,000 ლარის ოდენობის შემოსავალს.

5. საინვესტიციო პოლიტიკის გამჭვირვალობა

საჯაროობის პრინციპის დაცვით, ყოველთვიურად მოხდება საინვესტიციო საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება სააგენტოს გვერდზე. ასევე, სამეთვალყურეო საბჭოს კვარტალურ შეხვედრებზე წარედგინება ინფორმაცია განხორციელებულ ინვესტიციებზე და პორტფელის მდგომარეობაზე. სააგენტოს საინვესტიციო პორტფელს ყოველწლიურად შეაფასებს საერთაშორისო აუდიტორული კომპანია.